განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე

შეფასების თარიღ(ებ)ი 20,21 ივნისი. 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 11.07.2022 წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 204418825 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N1 ბ |
| ფაქტობრივი მისამართი | ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N1 ბ |
| საფოსტო ინდექსი | 0186 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.21saukune.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | skola@21saukune.ge |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 322 309 065;     322 304 240 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მარიამ ქუთათელაძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599 505 465 |
| ელ-ფოსტა | marikaku90@gmail.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ Ა Ნ Ა Თ Ლ Ე Ბ Ი Ს ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

### III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 05/05/2022 წლის ბრძანება MES 0 22 0000455331. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 20,21 ივნისი. 2022 წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ლიანა კობესაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | მარინე ჯანაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |

### IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | | | |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | | | |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | | | |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | ხარვეზი |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | .............. |
| | 1.2. | ............... |
| | | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.2. | ............... |
| | | |
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | .............. |
| | 1.2. | ............... |
| | | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.1. | ............... |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს შესაბამისი დებულებით და აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან.<br>სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გეგმავს და ორგანიზებას უწევს სასკოლო თუ კლასგარეშე ღონისძიებებს, რომლებიც თავის მხრივ ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. თვითმმართველობის ინიცირებით სკოლაში ხორციელდება მთელი რიგი პროექტები: ტარდება ფესტივალები, კვირეულები, კონკურსები, აღინიშნება სხვადასხვა მნიშვნელოვანი დღეები, ეწყობა საქველმოქმედო აქციები, პრეზენტაციები და გამოფენები, შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან, საინტერესო ადამიანებთან და სხვა.<br>მოსწავლეებთან იტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის დიდი გამოწვევაა თვითმმართველობის წევრობა და მითუმეტეს თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | „ლამარა მარგველაშვილის სკოლა XXI საუკუნეს“ მისიაა ჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ეროვნული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდა, სწრაფადცვალებად თანამედროვე გარემოში ინტეგრაციისთვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით. აღნიშნული მისიის განსახორციელებლად შექმნილია ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს:<br>➢ მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების განსაზღვრას, გამოვლენასა და რეალიზების ხელშეწყობას;<br>➢ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების შესაბამისად;<br>➢ ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებას;<br>➢ სამოქალაქო ცნობიერების, ტოლერანტობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სოციალური უნარ–ჩვევების განვითარების ხელშეწყობას;<br>➢ თვითგამოხატვასა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას;<br>➢ ცოდნის დამოუკიდებლად შეძენისა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარის განვითარებას;<br>➢ ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 410 | ექსპერტი ეთანხმება<br>☐ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება<br>☒ | დაწესებულების მფლობელობაში არსებული ინდივიდუალური მერხებისა და სკამების რაოდენობა უზრუნველყოფს 380 მოსწავლის გამტარუნარიანობას . |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2021 წლის 7 სექტემბერს. სკოლის მისია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ის შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და გვიჩვენებს, თუ რისი მიღწევა სურს სკოლას.<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის, კათედრებისა და დამრიგებლების პორთფოლიოებში თავმოყრილი მასალისა და მასწავლებლებთან, კათედრის ხელმძღვანელებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და სკოლა ორიენტირებულია მის მიღწევაზე.<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ინსტრუმენტებად გამოყენებული იყო სვოტ ანალიზი, კათედრების გამგეების ანგარიშები, ადმინისტრაციის მენეჯერის ანგარიში. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა სავალდებულო კომპონენტს. მისი გვერდები დანომრილია, აკინძულია, წარმოდგენილია დანართებით.<br>სკოლის საათობრივი ბადე დაწესებულებას შეთანხმებული აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი MES 9 21 0001142436. 26/10/2021 წ.). <u>სკოლას სასკოლო საათობრივი ბადის ნაწილში არ აქვს გაწერილი საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა.</u><br>სკოლა მეორე უცხოურ ენად მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანს რუსულ და ფრანგულ ენებს შორის მესამე კლასიდან, ხოლო მეშვიდე კლასიდან სკოლა მესამე უცხოურ ენას სთავაზობს მოსწავლეებს. მესამე უცხოური ენის შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება გერმანულ, ესპანურ და ფრანგულ ენებს შორის. მესამე უცხოური ენა ისწავლება საბაზო საფეხურზე, ხოლო საშუალო საფეხურზე უკვე აღნიშნული საგანი იძენს არჩევითი საგნის სტატუსს და ისწავლება X, XI კლასებში. XII კლასში არჩევით საგნის სტატუსით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კინოხელოვნებას. უცხოური ენების ფლობის დონეები სკოლას განსაზღვრული და გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეგმაში.<br>დამატებითი სავალდებულო საგნების სტატუსით სკოლაში ისწავლება ცეკვა (I-VI კლასები), თემატური გაკვეთილები (I-IV კლასები), მსოფლიო ლიტერატურა (I-VIII კლასები), ჭადრაკი (III-VI კლასები) და ქართული კულტურის საფუძვლები (X კლასი). დამატებით სავალდებულო საგნებში მოსწავლეები ფასდებიან სისტემით ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია აღნიშნული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების თემატური გეგმები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ასევე სადამრიგებლო პროგრამები, დისტანციური სწავლების საგაკვეთილო ცხრილი, საგანმანათლებლო რესურსები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით.<br>ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ემსახურება მისიის მიღწევას.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრების პორთფოლიოები, სადამრიგებლო გეგმები, მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი და შესრულებული აქტივობები, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირება, კათედრებს შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის მაღალი კულტურა, სიახლეების ძიება და მასწავლებლის პროფესიონალიზმის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა საშუალებას აძლევს სკოლას უზრუნველყოს მისიით განსაზღვრული - მოსწავლეებში თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა, აღსაზრდელების დამოუკიდებელ შემსწავლელებად ჩამოყალიბება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა, ბრძანება N373/ო. 07 სექტემბერი 2022 წ.;<br>• პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1. 06 სექტებერი 2022 წ.;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან;<br>• სადამრიგებლო პროგრამები;<br>• დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პროგრამები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ფუნქციონირებს 7კათედრა, რომლებიც აერთიანებენ შემდეგ საგნობრივ ჯგუფებს:<br>• სახელმწიფო ენის (ქართული ენა და ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურა, ქართული კულტურის საფუძვლები, თემატური გაკვეთილები);<br>• მათემატიკის (მათემატიკა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები(ისტ-ი));<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ( ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია);<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების ( ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება, მოქალაქეობა, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება);<br>• ინგლისური ენის;<br>• მეორე და მესამე უცხოური ენების (რუსული ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა, გერმანული ენა);<br>• ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის ( სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ცეკვა, სპორტი და ჭადრაკი).<br>სკოლის პრაქტიკაა კათედრების სისტემატური (ყოველკვირეული) ონლაინ შეხვედრები და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოკვეთილ საჭიროებებზე/პრობლემებზე მსჯელობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.<br>კათედრების პორთფოლიოებიდან ( სამოქმედო გეგმები, შეხვედრების ოქმები) ირკვევა, რომ ისინი:<br>• სემესტრის და სასწავლო წლის ბოლოს აჯამებენ საკუთარ საქმიანობას სვოტ ანალიზით. გამოყოფენ დაძლეულ გამოწვევებს/ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შესაძლებლობებსა და რისკებს რის საფუძველზეც შემდგომ მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც გამოიყენება მომდევნო სემესტრის/სასწავლო წლის დაგეგმვისას. მაგალითისთვის, პირველი სემესტრის შეფასების შემდეგ მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზისა და საგაკვეთილო საათების რაოდენობის გათვალისწინებით საჭიროების შემთხვევაში, კათედრებზე გადაიხედა მეორე სემესტრის საგნობრივი სასწავლო თემატური გეგმები და მოხდა მათი მოდიფიცირება. თემატური გეგმების დახვეწა/გაუმჯობესება კათედრების მუდმივი საზრუნავია;<br>• კათედრების სხდომებზე განიხილება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები, სწავლების პრობლემები და მუშავდება პრობლემის მოგვარების გზები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მსჯელობენ ონლაინ და პირისპირ სწავლების მონაცვლეობით გამოწვეულ სირთულეებზე და მათი დაძლევის გზებზე;<br>• გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობებს და განიხილავენ მისი განხორციელების შედეგებს;<br>• მოსწავლეებში გარკვეული უნარჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის მიზნით გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებს. მათ შორის კვირეულებს;<br>• სხვადასხვა მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის ამუშავებენ დიფერენცირებულ დავალებებს.<br>სკოლაში სხვადასხვა საგნებში ტარდება დიაგნოსტიკური წერები იმის გამოსავლენად, თუ რა კონკრეტული საჭროებები აქვთ მოსწავლეებს, რათა სამომავლოდ დაგეგმონ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებზე დაუძნებით. მაგალითად, დიაგნოსტიკური წერის შედეგების გათვალისწინებით მათემატიკაში უკვე დაგეგმილია კონკრეტული აქტივობები მოსწავლეთა საჭროებების მიხედვით. თუ სკოლა დაადგენს, რომ გაცდენების ან სხვა მიზეზების გამო მოსწავლეს გაუჭრდა სასწავლო თემის დაძლევა, მას უტარდება დამატებითი მეცადინეობები კონკრეტულ საკითხებზე.<br>დაწესებულება თვლის, რომ შეძლო და კარგად მართა დისტანციური საგაკვეთილო პროცესი, უზრუნველყო დისტანციურ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა, მოიძია და გამოიყენა მრავალფეროვანი რესურსები, შექმნა კომპლექსური დავალებების და თემატური ელექტრონული რესურსების ბანკი რაც დადასტურდა ადგილზე კათედრების მიხედვით თავმოყრილი სასწავლო რესურსების და კომპლექსური დავალებების ნიმუშების დათვალიერებით.<br>შემაჯამებელ დავალებების კომპონენტში გამოიყენება მრავალფეროვანი დავალებები: ესე, თზულება, პროექტი, ზეპირი გამოკითხვა, წერილის შედგენა, ამოცანების ამოხსნა, პრობლემის გადაჭრა და სხვა. შემაჯამებელი დავალებები კომპლექსური ხასიათისაა და საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის არა მარტო ფაქტობრივი და პროცედურული არამედ პირობისეული ცოდნაც. შემაჯამებელი დავალებები გაანალიზებულია და შეჯამებულია კლასის საჭიროებები, რომელზედაც მასწავლებლები სამომავლოდ უკვე საგაკვეთილო პროცესში მუშაობენ. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა მიერ კომპლექსური დავალებების შესრულებისას დამზადებული პროდუქტები.<br>მნიშვნელოვანია, რომ კათედრები ახდენენ თვითშეფასებას და განსაზღვრავენ სამომავლო გამოწვევებს. კერძოდ, კათდრებისთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კათედრებს შორის თანამშრომლობა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინტეგრირებული პროექტების განხორციელებისათვის, მოქნილი თემატური გეგმების შემუშავება, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების კიდევ უფრო მეტად გათვალისწინება სასწავლო პროცესში, დიფერენცირებული სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად ორგანიზება.<br>რაც შეეხება სადამრიგებლო პროგრამებს, ისინი შედგენილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ადმინისტრაციის მენეჯერი სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებლებთან ერთად, განიხილავს სადამრიგებლო პროგრამას, ახდენს პარალელური კლასების სამუშაოს კოორდინირებას, ადგენს სადამრიგებლო პროგრამის ძირითად მიმართულებებს და გეგმავს სადამრიგებლო საათის ჩატარების ფორმატს. კვირაში ერთხელ, იმართება დამრიგებლებთან შეხვედრა და მიმდინარე საკითხების განხილვა, აზრთა გაზიარება, პრობლემების არსებობის შემთხვევაში, გადაჭრის გზების ძიება. (დისტანციური სწავლების დროს აღნიშნული შეხვედრები ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში) .<br>სადამრიგებლო პროგრამების განხორციელებას მონიტორინგს უწევს და აფასებს ადმინისტრაციული მენეჯერი.<br>ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამები და კათედრების მიერ წარმოდგენილი საქმიანობა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. თავად დაწესებულება ორიენტირებულია მუდმივ თვითშეფასებასა და განვითარებაზე, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ადმინისტრაციის მენეჯერის 2021-2022 სასწ.წ. ანგარიში;<br>• კათედრების პორთფოლიოები;<br>• სადამრიგებლო პროგრამები;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ცდილობს ყველა მოსწავლეს შეუქმნას სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები მათი საჭიროებების გათვალისწინებით.<br>მიმდინარე სასწავლო წელს, ისევე როგორც გასულ წელს, სკოლის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი პერიოდულად იმყოფებოდა დისტანციურ სწავლებაზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა აწარმოებდა აღნიშნული პროცესის სისტემატურ მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა ინდივიდუალურ დახმარებას უწევდა მოსწავლეებს.<br>სკოლაში სსსმ მოსწავლე არ სწავლობს, თუმცა დაწესებულება გამოხატავს სრულ მზაობას სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს მისთვის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რისთვისაც სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრულ შესაბამისობაშია და გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.<br>მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებათა სქემებს. განმავითარებელი შეფასებით აფასებს მოსწავლის პროგრესს დინამიკაში, განმსაზღვრელი შეფასებით კი- მოსწავლის ცოდნას საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.<br>სკოლაში გამოყენებულია ელექტრონული ჟურნალი. ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლები წერენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ შეფასების სქემებს.<br>დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი სქემები საფეხურების, საგნების და კომპონენტების მიხედვით. შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია ძირითადად კომპლექსური დავალებები: ესეები, პრეზენტაციები და სხვა. შემაჯამებელი დავალებები გაანალიზებულია და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირდა საგნობრივი გეგმები, დაიგეგმა და განხორციელდა მოსწავლის და რიგ შემთხვევაში კლასის საჭიროებაზე მორგებული აქტივობები.<br>სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი კლასის მოსწავლეები (I-IV კლასები) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით სამ დონეზე საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში.<br>სკოლის პრაქტიკაში კათედრები კვირაში ერთხელ იკრიბებიან და მიმდინარე საკითხებთან ერთად განიხილავენ მოსწავლეთა სასწავლო შედეგებსა და საჭირო რესურსების ჩამონათვალს ან/და ამზადებენ დიფერენცირებულ დავალებებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• კათედრების პორთფოლიოები;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულება აღიარებს მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის დადებით გავლენას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე და შესაბამისად ცდილობს შექმნას სათანადო პირობები, რათა ხელი შეუწყოს მშობელს ითანამშრომლოს სკოლასთან. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის დებულება, რომელიც განსაზღვრავს:<br>• მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სკოლასთან ურთიერთობებს;<br>• მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებამოსილებებს/ ვალდებულებებს;<br>• მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების წესებს/ საშუალებებს/პროცედურებს.<br>დაწესებულება მშობლებთან კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა სტარტეგიებს, მათ შორის:<br>• მშობლებთან მუშაობს სკოლის ფსიქოლოგი, რომელიც პირველკლასელ მოსწავლეების მშობლებს აძლევს პრაქტიკულ რეკომენდაციებს პირველკლასელ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტირების საკითხებში და აცნობს ექვსწლიანთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს;<br>• მოსწავლეთა სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლის შემთხვევაში ხდება მშობლების კონსულტირება თუ როგორ დაეხმარონ ბავშვებს წარმოქმნილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პრობლემების დასაძლევად;<br>• მშობლებისათვის განსაზღვრულია ფსიქოლოგთან საკონტაქტო საათები;<br>• მშობელთა ინფორმირებისა და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მიზნით, სკოლის ადმინისტრაცია სემესტრში ერთხელ ნიშნავს მშობელთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დღეს. ამ დღეს მშობელი ინდივიდუალურად ხვდება თითოეული საგნის მასწავლებელს და ღებულობს ამომწურავ ინფორმაციას მისთვის საინტერესო საკითხებზე;<br>• მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, ტარდება მშობელთა გამოკითხვა, მშობლები სხვადასხვა საკითხებთან ერთად აფასებენ სწავლების ხარისხს, სასკოლო გარემოს, კლასგარეშე აქტივობებს, სასკოლო ღონისძიებებს, სკოლასთან კომუნიკაციის ხარისხს.<br>სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც მშობლებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია. მშობლებთან კომუნიკაციისათვის ასევე გამოიყენება სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი, სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერა, sms შეტყობინება.<br>მშობლებთან ინტერვიუთი დადგინდა მათი კეთილგანწყობა და მზაობა ითანამშრომლონ სკოლასთან ნებისმიერ საკითხზე.<br>ამრიგად სკოლა უზრუნველყოფს მშობლის დროულ ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე და მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ფსიქოლოგიური სამსახურის მუშაობის ანგარიში 2021/2022სასწ.წელი<br>• ადმინისტრაციული მენეჯერის ანგარიში;<br>• ელექტრონული ჟურნალი;<br>• მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დებულება;<br>• ინტერვიუ მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მარეგულირებელი დოკუმენტი“. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. შეფასების მეთოდოლოგია გულისხმობს მონაცემების ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების/რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ინსტრუმენტებად გამოყენებული აქვს:<br>• საგნობრივი კათედრების მიერ შესრულებული სამუშაოს სემესტრული/ წლიური ანგარიშები;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაკვეთილებზე დასწრებისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობების ამსახველი სემესტრული ანგარიშები;<br>• დამრიგებელების წლიური ანგარიშები;<br>• სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმები და მათი განხორციელების წლიური ანგარიში (სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში);<br>• სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის წლიური ანგარიში;<br>• მშობელთა კითხვარების ანალიზი.<br><br>ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებისა და ერთეულების სემესტრულ/წლიურ ანგარიშებს განიხილავს სკოლის აკადემიური საბჭო, რომელიც აანალიზებს და აფასებს წარმოდგენილ ინფორმაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს სასკოლო სასწავლო გეგმის შემდგომი გაუმჯებესების მიზნით.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი, ვიზიტის პერიოდში განხილული და შესწავლილი დოკუმენტაციისა და ანგარიშების გაანალიზების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას არამარტო შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი, არამედ ეფექტურად და ეფექტიანად იყენებს მას სასკოლო სასწავლო გეგმის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მარეგულირებელი დოკუმენტი;<br>• ბრძანება N373/ო. 2021 წლის 07 სექტემბერი;<br>• ინტერვიუ კათედრის გამგეებთან,ადმინისტრაციასთან, მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | სასურველია სკოლამ სასკოლო საათობრივი ბადის ნაწილში დამატებით გაწეროს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე მდებარეობს თბილისში, ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N1 ბ-ში. დაზუსტებული ფართობია 1200.00 კვ.მ.<br>შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 2059,94.<br>შენობის მესაკუთრეა „ლამარა მარგველაშვილი სახელობის სკოლა XXI საუკუნე“. შენობა დატვირთულია იპოთეკით. ყადაღა/აკრძალვა რეგისტრირებული არ არის. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ოთარ ლორთქიფანიძის ქ.N1 ბ |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.14.03.042.123 |
| *კვ.მ.* | არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთი 1200.00 კვ.მ<br>შენობის ფართი 2059.94 კვ.მ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | ამონაწერი საჯარო რეესტრიდან |
| **შეფასება** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან** | შენობა, რომელშიც დაწესებულებაა განთავსებული არასტანდარტულია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობა დგას ფერდობზე, ერთი მხრიდან 4 სართულიანია, ხოლო მეორე მხრიდან სამსართულიანი.<br>სკოლაში არის 22 საკლასო ოთხი, ისტი-ს, ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები, სამასწავლებლო, საიზოლაციო ოთახი, ექიმის კაბინეტი, 3 ოთახი ადმინისტრაციისათვის, დირექტორის კაბინეტი.<br>საკლასო ოთახებში ვიზიტის პერიოდში განთავსებული იყო 300 ცალი ინდივიდუალური მერხი და სკამი, დასაწყობებული-80 ერთეული. ჯამში სკოლის საკუთრებაშია 380 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთხი (გარდა ერთისა) და ლაბორატორიები აღჭურვილია ტელევიზორებით და კომპიუტერებით/ლეპტოპებით. ყველა საკლასო ოთახში არის საკლასო და თეთრი დაფები, მასწავლებლის მაგიდები, კარადები/თაროები, თვალსაჩინოებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ზედნადებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის პირველ სართულზე არის 101.48 კვ.მ ფართის სპორტული დარბაზი ინდივიდუალური გასახდელებით და საშხაპეებით გოგონებისა და ვაჟებისათვის. დარბაზში არის 3 შვედური კედელი, კალათბურთის ფარები და სხვა სპორტული ინვენტარი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის დებულება, რომლითაც რეგულირდება სკოლის სარგებლობაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების მუშაობა. დებულებით განსაზღვრულია ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები, ლაბორატორიის ხელმძღანელობაზე უფლებამოსილი პირი, მისი უფლებები და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვალდებულებები.<br>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია წარმოდგენილია ცალკე ფიზიკის და ცალკე ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიებად. ოთახს, სადაც მოწყობილია ქიმია/ბიოლოგიის ლაბორატორია, მიეწოდება წყალი და ნიავდება ბუნებრივი გზით.<br>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც მოცემულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში. ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიებს აქვს ცალკე სათავსო ოთახები სადაც განთავსებულია კარადები. როგორც სათავსო ოთახები, ასევე კარადები იკეტება და შესაბამისად მოსწავლეებისათვის ქიმიურ რეაქტივებთან და ზოგადად ლაბორატორიის აღჭურვილობასთან თავისუფალი წვდომა შეზღუდულია.<br>დაწესებულებას ასევე შესყიდული აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ვირტუალური ლაბორატორია.<br>კომპიუტერული ლაბორატორია აჭღურვილია მოსწავლეებისათვის განკუთვნილი 14 კომპიუტერით და მასწავლებლის კომპიუტერით. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება (ინსტა ჯორჯიასთან გაფორმებული ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ანატომიის სასკოლო ლაბორატორიული აჭღურვილობა);<br>• მიღება ჩაბარების აქტი;<br>• ნასყიდობის ხელშეკრულება ვირტუალური ლაბორატორიის შეძენის თაობაზე;<br>• ზედნადებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში, აქვს ასევე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ალტერნატიული დენის წყარო-გენერატორი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ფანჯრის ღიობის ფართი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ ბუნებრივ განათებულობის დონეს. შენობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, რომელიც მუშაობს ბუნებრივ აირზე.<br>შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის და სველი წერტილი თანამშრომლებისათვის. მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დენის, ბუნებრივი აირისა და წყლის საგადახდო ანგარიშფაქტურები;<br>• სასაქონლო ზედნადები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია შესაბამისი საფეხურების სასკოლო სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი, მათ შორის გრიფირებული და დამატებითი სახელმძღანელოები, მხატვრული, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, პერიოდიკა. სულ ბიბლიოთეკაში დაცულია 4729 ერთეული წიგნი, 411 აუდიო -ვიზუალური თვალსაჩინოება, რუკები და სხვა დამხმარე მასალა. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და მითითებულია საინვენტარო ნომერი. აღრიცხულია კარტოთეკით.<br>ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია:<br>• ინდივიდუალური წიგნების და ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალები;<br>• საინვენტარიზაციო წიგნი და ინვენტარიზაციის ელექტრონული ვერსია;<br>• ფონდების აღრიცხვის წიგნი;<br>• სისტემური და ანბანური კატალოგები;<br>ბიბლიოთეკა აღჭურვილია ტელევიზორით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსეროქსის აპარატით;<br>ბიბლიოთეკა მუშაობს ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშობის საათები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასაქონლო ზედნადებები;<br>• ჩუქების აქტები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს ორი შესასვლელი. ერთ შესასვლელთან მისასვლელ გზაზე მოწყობილია პანდუსი. მეორე შესასვლელით მოსწავლე ხვდება შენობის მეორე სართულზე, შესასვლელი გზის პირზეა და ამ შემთხვევაში შენობაში შესასვლელად პანდუსი საჭირო არ არის. შენობის შიგნით გადასაადგილებლად დაწესებულებას შეძენილი აქვს მოძრავი პანდუსები.<br>სკოლის პირველ სართულზე არის სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულება პანდუსისი დამზადებაზე;<br>• სასაქონლო ზედნადებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის საკუთრებაში აქვს 28 სტაციონარული კომპიუტერი, 27 ლეპტოპი, 25 ტელევიზორი-რომლებიც დამონტაჟებულია საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებში. 1 პროექტორი. სკოლის ვებგვერდია https://www.21saukune.ge/ ოფიციალური ფეისბუქგვერდია https://www.facebook.com/skolaXXIsaukune/. ვებგვერდი და ფეისბუქგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო/საინფორმაციო ფუნქციას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ჩუქების ხელშეკრულება;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• საგადახდო დავალებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის თანამშრომლებს გავლილი აქვთ საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო თეორიული კურსი. დაწესებულებაში თვალსაჩინოდაა გამოკრული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ნომერი.<br>დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა 1 ქაფოვანი ცეცხლმაქრი და 5 ნახშირორჟანგოვანი ცეცხლმაქრი. ვიზიტის პერიოდში დამატებული იქნა 10 ფხვნილოვანი ცეცხლმაქრი. ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ წერტილებში, კიბის უჯრედებზე სპეციალურ სათავსოში და საქვაბეში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საგადახდო დავალებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში ყველა სართულზე განთავსებულია შპს „ქრობა 77“ -ის მიერ განახლებული საევაკუაციო გეგმა და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის სამსახურის ტელეფონის ნომერი - 112. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების დებულება, რომლის მიხედვითაც წარმართავს თავის საქმიანობას სკოლის ექიმი. ექიმის კაბინეტი განთავსებულია გასასვლელ კარებთან სიახლოვეს. სკოლას აქვს პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები და ინვენტარი, ასევე წამლების მიღების, გატარებისა და ჩამოწერის შესაბამისი ფორმები. სკოლა კონფიდენციალობის დაცვით აწარმოებს მოსწავლეთა მიმართვიანობის აღრიცხვას. ექიმი შერჩეულია კანონმდებლობის შესაბამისად და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სამედიცინო დახმარების დებულება;<br>• ჩუქების აქტები;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• გასაუბრება ექიმთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე“-ს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები", აღნიშნულ წესთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოსულ წერილში (MES 9 22 0000440471, 02/05/2022წ.) დაწესებულებას მითითებული აქვს რამდენიმე შენიშვნა და ამასთან აღნიშნულია, რომ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მასთან დაკავშირებით დამატებითი შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნია“.<br>2022 წლის 5 მაისის N03/02-ო ბრძანებით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პროექტთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირი.<br>გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლას ჰყავს დაცვის შიდა სადღეღამისო სამსახური, რომელსაც ასევე ევალება სამეთვალყურეო კამერების მონიტორინგი (შინაგანაწესი მუხლი 26).<br>სკოლას მეთვალყურეობას უწევს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის მეორე განყოფილება (თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული განყოფილების ტელეფონის ნომერი) და იცავს დაცვის პოლიცია - 025. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• წერილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმებაზე MES 9 22 0000440471;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• დაცვასთან გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ორი შესასვლელი. ორივე შესასვლელი კონტროლდება 2-2 ვიდეო კამერით, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. გარდა ამისა სრულად კონტროლდება სკოლის ეზო და სკოლის ორი საევაკუაციო გასასვლელი. სკოლის შიდა პერიმეტრი და კიბის უჯრედები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შესყიდვის აქტები;<br>• ზედნადებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული წესდებით, შინაგანაწესით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.<br>• წარმოდგენილი წესდებით რეგულირდება საზოგადოების საქმიანობის მიზანი და საგანი, განისაზღვრება საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და დამფუძნებელი პარტნიორი, პარტნიორთა კრების ფუნქციონირება, საზოგადოების დირექტორის ვალდებულებები და სხვა;<br>• სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლის ძირითად სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც ადგენს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ფორმებს და სამართლებრივი რეგულაციის სისტემას, აწესრიგებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მართვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მექანიზმებს, მონიტორინგის ფორმებს, არეგულირებს მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობათა პირობებს, განსაზღვრავს სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას და შრომითი ურთიერთობის პირობებს, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და წახალისების ფორმებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს და სხვა. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების და მათი ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვლეობები.<br>შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად;<br>• სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა დამატებით რეგულირდება ცალკეული დებულებებით;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შინაგანაწესი. ბრძანება N382/ო . 2022 წლის 15 მარტი;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• აკადემიური საბჭოს დებულება;<br>• კათედრების დებულება;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• დამრიგებლის დებულება;<br>• დისტანციური სწავლების დებულება;<br>• დისციპლინური კომიტეტის დებულება;<br>• სამედიცინო კაბინეტისა და ექიმის საქმიანობის დებულება;<br>• ლაბორატორიით სარგებლობის დებულება;<br>• მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;<br>• მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დებულება;<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა 2018-2024 წწ.-ის განვითარების გრძელვადიანი, ექვსწლიანი და ერთწლიანი 2021-2022 წწ. სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმების შემუშავებისას სკოლა იყენებს თვითშეფასების ინსტრუმენტს- სვოტ ანალიზს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სვოტ ანალიზში ასახულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, გარე შესაძლებლობები და საფრთხეები.<br>გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სკოლის განვითარებას 4 ძირითადი მიმართულებით: აკადემიური საქმიანობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. სკოლას 6 წლის განმავლობაში პერმანენტულად აქვს დაგეგმილი და შესაბამისად განხორციელებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება/სრულყოფა, სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარება და სკოლაში მამოტივირებელი გარემოს შექმნა.<br>სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი გეგმიდან და ითვალისწინებს ექვსწლიან გეგმაში შესაბამისი სასწავლო წლისათვის განსაზღვრული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ აქტივობებს. თვითონ ექვსწლიანი გეგმა ითვალისწინებს სკოლის მისიის მისაღწევად საჭირო გარემოს შექმნას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2021-2022 სასწ.წ.;<br>• ბრძნება N375/ო 2021 წლის 10 სექტემბერი;<br>• სკოლის განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა 2018-2024 სასწ.წ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებასა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენების საქმეში და ვრცელდება ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზეც). დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. სკოლაში ინახება ყველა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტის დედანი ან ასლი. ოფიციალური წერილები ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. საქმისწარმოებას უძღვება საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.<br>სკოლაში მოქმედებს საკადრო და საერთო ბრძანებების, შემოსული და გასული დოკუმენტაციის, შრომის ხელშეკრულებების, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები.<br>სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია, რაც უზრუნველყოფს მათ სანდოობას და მთლიანობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების ერთიანი წესი, ბრძანებაN03/01-ო. 2022 წლის 01 აპრილი;<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე“-ს ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. კერძოდ, 54 მასწავლებელი და 37 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათ შორის: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლის დირექტორი 1;<br>• ადმინისტრაციის მენეჯერი 1;<br>• სკოლის ფსიქოლოგი 1;<br>• ლოჯისტიკის სამსახურის თანამშრომელი 1;<br>• კანცელარიის ხელმძღვანელი 1;<br>• დაწყებითი საფეხურის კოორდინატორი 1;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი 1;<br>• ადმინისტრაციის კოორდინატორი 1;<br>• ბიბლიოთეკარი 1;<br>• ექიმი 1;<br>• IT მენეჯერი 1;<br>• IT კონსულტანტი 1;<br>• ისტ მენეჯერი 1;<br>• მბეჭდავი 1;<br>• დაცვის თანამშრომელი 4;<br>• მზარეულის თანაშემწე 2;<br>• დამლაგებელი 5;<br>• მასწავლებლის ასისტენტი 2;<br>• შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი 1;<br>• კათედრის გამგე 7;<br>• ლოჯისტიკის მენეჯერი 1;<br>• ბუღალტერი 1.<br>აღსანიშნავია, რომ ყველა თანამშრომლის საქმიანობა და ფუნქციები რეგულირდება შესაბამისი დებულებებით.<br>საშტატო განრიგით წარმოდგენილი, EMIS ბაზაში ასახული, საათობრივი დატვირთვით წარმოდგენილი და პირად საქმეებში ასახული ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ ერთმანეთთან სრულ თანხვედრაშია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ბრძანება სკოლის საშტატო განრიგის შესახებ;<br>• სკოლის მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• თანამშრომელთა EMIS ბაზა;<br>• სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>• სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებები;<br>• დებულებები;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება;<br>• დოკუმენტაციის ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 54 |
| მოწვეული/მაძიებელი | 8 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | - |
| უფროსი მასწავლებლი | 31 |
| წამყვანი მასწავლებლი | 4 |
| მენტორის სტატუსი | - |
| უსტატუსო | 11 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე“-ს მასწავლებლები შერჩეულნი არიან კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა მასწავლებელი ასწავლის მისი სპეციალობით განსაზღვრულ საგანს. 54 მასწავლებლიდან 4 არის წამყვანის სტატუსით, 31 უფროსი მასწავლებელი, 8 მოწვეული და 11 უსტატუსო. უსტატუსო მასწავლებლებიდან 3 არის ესპანური ენის, ჭარდაკის და მსოფლიო ლიტერატურის მასწავლებელი, 2 მასწავლებელს ჩაბარებული აქვს საგანი და ელოდება სტატუსს. უსტატუსო მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში ჩადებულია პირობა, რომ 2 წლის ვადაში უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი.<br>უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომელთა პირადი საქმეები მოწესრიგებულია და მათი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან. Emis ბაზაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაში იყო სკოლაში არსებულ დოკუმენტაციასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრება;<br>• Emis ბაზის ანასახი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

<table>
<tr><td colspan="2">3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა</td></tr>
<tr><td>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</td><td>სკოლის შინაგანაწესის მე-4 თავში-შრომითი პირობები, საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი, სამუშაო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურება, თანამშრომელთა წახალისება, დისციპლინური ზომები, შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა, სამუშაო პირობები და უსაფრთხოება, გადაწყვეტილებების თანამშრომლებამდე დაყვანის წესი.<br>გარდა აღნიშნულისა დაწესებულებას, მასწავლებლების შესარჩევად, სკოლის დირექტორის #313/ო (10.09.2019) ბრძანებით, სკოლაში :<br>• შექმნილი აქვს მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია;<br>• დამტკიცებული აქვს ვაკანტური საათების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი.<br>მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესითა“ და ,,ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნეში“ ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესით.<br>teacherjobs.ge გვერდზე სკოლას 2021 წლის სექტემბრიდან გამოცხადებული ჰქონდა კონკურსები ვაკანტური საათებზე მასწავლებლის პოზიციაზე, ამ კონკურსის შედეგად შეირჩა მასწავლებლები კანონმდებლობის შესაბამისად 4 საგანში ( მათემატიკა, გეოგრაფია, გერმანული და ქიმია), მაგრამ ისტორიის, ინგლისური ენის, მუსიკის, სამოქალაქო განათლების და ისტ. საგნებში ვერ მოხერხდა მასწავლებლის შერჩევა, ამიტომ მასწავლებლების ნაწილთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩადებულია ზემოთ აღნიშნული 2 წლიანი, პირობით დასაქმების შეთანხმება.<br>სკოლის შინაგანაწესის მუხლი 48 განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისების ფორმებსა და კრიტერიუმებს (წლის საუკეთესო მასწავლებელი, დამრიგებელი, თანამშრომელი).<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია, სრულ თანხვედრაში იყო თანამშრომლებთან გასაუბრებისას მიღებულ ინფორმაციასთან.</td></tr>
<tr><td>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</td><td>• სკოლის დირექტორის ბრძანება #313/ო (10.09.2019) შპს ,,ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნეში“ მასწავლებლის ვაკანტური საათების დასაკავებლად, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით მუდმივმოქმედი საკონკურსო</td></tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კომისიის შექმნის შესახებ; ვაკანტური საათების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ;<br>• ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• teacherjobs.ge ვაკანსიების გვერდი;<br>• საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები;<br>• სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე“-ს მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. მასწავლებლებთან გაფორმებულია 4 სახის ხელშეკრულება, როგორც წამყვან მასწავლებელთან, უფროს მასწავლებელთან, მოწვეულ მასწავლებელთან და უსტატუსო მასწავლებელთან, შესაბამისი 2 წლიანი პირობითი შეთანხმებით. ხელშეკრულებებში მასწავლებელთა ვალდებულებები გაწერილია მათი სტატუსის მიხედვით, კანონმდებლობასთან და სკოლის შინაგანაწესთან შესაბამისად. ხელშეკრულებები თანამშრომლებთან დადებულია 1 წლიანი ვადით, 2022 წლის 14 მარტიდან. სრულად მოწესრიგებულია ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან, შესაბამისი რეგისტრაციით საქმისწარმოების ერთიანი წესის თანახმად. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი გაცნობილი არიან ხელშეკრულების პირობებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• სკოლის შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს: ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, **ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება, ასევე** ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, სადაც წარმოდგენილია დებულების მიზნები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა და სტრუქტურა, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურები, კომპეტენცია და უფლებამოსილებები. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის ინსტრუმენტები. წარმოდგენილია მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კითხვარის ნიმუშები, რომელიც შევსებულია შეფასების ჯგუფის წევრების მიერ, ასევე, მასწავლებლის მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარის ნიმუშები. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აღრიცხვის ფორმა, სადაც სკოლის თითოეული მასწავლებლის აქტივობაა აღიცხული და შეფასებული. სკოლას გაწერილი აქვს მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრების ცხრილი, გაკვეთილზე დაკვირვების სქემა და შეფასების რუბრიკა კრიტერიუმებით. ასევე, გაწერილი აქვს მასწავლებელთა ურთიერთდასწრების განრიგი კათედრების მიხედვით. დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითი. სკოლას აქვს თვითეფექტიანობის დადგენის ტესტის გამოყენების პრაქტიკაც, რომელიც ზომავს ადამიანის თვითცნობიერებასა და თვითშეფასებას, შეერისა და მადუქსის მეთოდიკით. სკოლა მასწავლებლებთან იყენებს კითხვარს დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკის შესახებ, ასევე კითხვარს კოლეგის გაკვეთილზე დასწრების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელის 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და I -II სემესტრის ანგარიში, სადაც წარმოდგენილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვების სხვადასხვა ინტრუმენტების გამოყენებით გამოკვეთილი სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზი და ჯგუფის მუშაობის შედეგად დადგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრიორიტეტები. მასწავლებლებისთვის გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ადგილზე ხდება შესაბამისი სერვისების: კონსულტაციები, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, შიდა სასკოლო ტრენინგების მიწოდება. უცხოური ენის კათედრა თანამშრომლობს English Book-თან, მასწავლებლებს ასევე უდასტურდებათ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების გავლა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა მიმდინარე ტრენინგებზე რეგისტრაციის ბაზაც, რაც მათ პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში პერსონალისთვის შრომითი და სახანძრო უსაფრთხოების თემებზე ტრენინგებს და კონსულტაციებს ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რაც აღრიცხულია შრომის უსაფრთხოების ჟურნალში.<br>აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია, სრულ თანხვედრაშია დოკუმენტაციით წარმოდგენილ ინფორმაციასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ანგარიშები;<br>• შეფასების კითხვარები;<br>• გაკვეთილებზე დასწრების ანგარიშები;<br>• ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარები დებულება;<br>• შრომის უსაფრთხოების ჟურნალი;<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე“-ს აქვს თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურა. დაწესებულების ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული და სასწავლო პროცესზე მაქსიმალურად მორგებულია. 236 მოსწავლის სწავლა-აღზდის საქმეს საკმაოდ დიდი რაოდენობის ადამიანური რესურსი ხმარდება. მასწავლებლების გარდა, სკოლაში დასაქმებული 37 ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალი, დიდ ძალისხმევას დებს საერთო საქმეში. ვიზიტის დროს იგრძნობოდა ჰარმონიული და ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობა კოლეგებს შორის. ყველამ იცოდა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობა. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო ყველა სტრუქტურული ერთეულის და რგოლის დებულება, სამოქმედო გეგმა და ანგარიშები. აღსანიშნავია სკოლის თვითმმართველობის აქტიური მუშაობა, რაც გამოიკვეთა მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს. მშობლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი სრულად ენდობიან სკოლას უსაფრთხოების და შვილების განვითარების კუთხით. თანამშრომელთა პროფესიული წინსვლა და მოსწავლეთა წარმატებები მეტყველებს იმაზე, რომ მათ ხელი ეწყობათ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში ხშირად ტარდება საინტერესო კლასგარეშე ღონისძიებები და აქციები, რაც ხელს უწყობს, ტოლერანტობის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. სპორტული ღონისძიებები ხელს უწყობს ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდას. ტარდება შეხვედრები მოწვეულ ცნობილ ადამიანებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას. სკოლის ვებ. გვერდზე ასახულია სკოლის შესახებ ყველა ინფორმაცია და ხელმისაწვდომია.<br>სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ხელმისაწვდომ ადგილას, შინაგანაწესს იცნობს ყველა მოსწავლე და სკოლის თანამშრომელი. მოწესრიგებული, სუფთა, თანამედროვე, უსაფრთხო, შინაარსით დატვირთული გარემო და ურთიერთობები ერთიან ჰარმონიულ პირობებს ქმნის მოსწავლეთა და თანამშრომელთა განვითარებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სტრუქტურული ერთეულების დებულებები;<br>• სკოლის ვებ. გვერდი;<br>• სკოლის ვიზუალური დათვალიერება;<br>• მოსწავლეებთან, მშობლებთან, თანამშრომლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი ... 11.07.2022 წ.
............................ ....................
(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 38



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.